საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №87/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 15 მაისის №87 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 16 ივლისის №87/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს დასაბუთებული გადაწყვეტილების დაგვიანებით გაგზავნაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 1 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №-- პენიტენციური დაწესებულების მიმართ და მოითხოვა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №-- პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 14 აპრილის №-- განკარგულების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №-- პენიტენციურ დაწესებულებას დაევალა -- -- დაკავშირებით, 2016 წლის 28 ივლისის ფაქტზე არსებული სატელეფონო საუბრის აღრიცხვის ჟურნალის, სატელეფონო მომსახურების განმახორციელებელი კომპანიის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული ამონაწერისა და ასევე ვიდეომეთვალყურეობის კამერების ჩანაწერების სასამართლოსთვის წარდგენა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით (მოსამართლე -- --) -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2019 წლის 5 მაისს.

2.2. ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობაც, მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა:

– 2017 წელს - 718 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 550 (77%), სამართალდარღვევის

საქმე - 323, საიდანაც დასრულდა - 322 საქმე (99%).

- 2018 წელს - 754 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 570 (76%), სამართალდარღვევის საქმე - 49, საიდანაც დასრულდა - 49 საქმე (100%).
- 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით - 590 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 349 საქმე (59%), სამართალდარღვევის საქმე - 44, საიდანაც დასრულდა - 40 საქმე (90.9%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 16 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 15 მაისის №87 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Apostol v. Georgia §54).

ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ

ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[1]

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებზე, რადგან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2019 წლის 5 მაისს.

ამდენად, სახეზეა სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა, ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს გაეგზავნა 1 წლის, 3 თვისა და 23 დღის შემდეგ.

თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. შესაბამისად გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებას მხარეთა ინტერესებზე არსებითი ხასიათის ზიანი არ გამოუწვევია.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

2022 წლის 10 ნოემბერს გამართულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხუთმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად საქმის განხილვის ვადასთან დაკავშირებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილება ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები, ხოლო ოთხმა წევრმა მიიჩნია, რომ მოსამართლის მიმართ უნდა დაწყებულიყო დისციპლინური დევნა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის და ამავე ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საქმის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დარღვევასთან მიმართებით, მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ ხუთმა წევრმა დაუჭირა მხარი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^8 მუხლების საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^8 მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №87/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი